საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე უარის თქმის თაობაზე

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

მამუკა ნოზაძე - კოლეგიის თავმჯდომარე

ანა კოტეტიშვილი - კოლეგიის წევრი

ბესარიონ ბოხაშვილი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ჰ. ს. დ.

საჩივრის ავტორის წარმომადგენლები: მ. ქ.; გ. ა.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 02.12.2022

საჩივრის რეგისტრაცის ნომერი: №113/22

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ფ. კ.-ს /სიითი№/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ფ. კ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიას 2022 წლის 2 დეკემბერს საჩივრით მომართა ჰ. ს. დ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ფ. კ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. საჩივრის ავტორის წარმომადგენლები: მ. ქ. და გ. ა. ესწრებოდნენ 2023 წლის 30 იანვრის საპროცესო კოლეგიის სხდომას. ამასთან, საჩივრის ავტორის წარმომადგენელი - მ. ქ., ესწრებოდა 2023 წლის 13 ივნისის განხილვის კოლეგიის სხდომას. ეთიკის კომისიის სხდომებზე საჩივრის ავტორის წარმომადგენელმა მხარი დაუჭირა საჩივარს.

1.2 საჩივრის ავტორის წარმომადგენლის - მ. ქ.-ს განმარტებით, 2018 წლის 3 აგვისტოს ირანის მოქალაქე ჰ. ს. დ.სა და შპს ი.-ს შორის გაფორმდა უძრავი ნივთის ნასყიდობის წინარე ხელშეკრულება. ხელშეკრულების თანახმად, შპს ი.-ს მშენებლობა უნდა დაესრულებინა და მყიდველისთვის შენობა ჩაებარებინა წინასწარ შეთანხმებული მდგომარეობით, 2019 წლის პირველ იანვრამდე. კომპანიამ დაარღვია აღნიშნული ვალდებულება, რის შემდეგაც ჰ. ს. დ.-მ გადაწყვიტა სამართლებრივი დავის წარმოება და დახმარება სთხოვა მის მეგობარსა და ნდობით აღჭურვილ პირს - მ. ა. მ.-ს, ვისი დახმარებითაც მიმართა ადვოკატ ფ. კ.-ს. ადვოკატსა და კლიენტს შორის შედგა ზეპირი შეთანხმება, რის მიხედვითაც ადვოკატს უნდა მიემართა თბილისის საქალაქო სასამართლოსთვის და მოეთხოვა ხელშეკრულებიდან გამომდინარე კომპანიისათვის პირგასამტეხლოს დაკისრება ვალდებულების დროულად შეუსრულებლობის გამო. ამ მიზნით, 2020 წლის 17 იანვარს ჰ. ს. დ.მ, შეხვედრის გარეშე, მინდობილობა გაუფორმა ადვოკატ ფ. კ.-ს.

1.3 მომჩივანის წარმომადგენლის - მ. ქ.-ს განმარტებით, 2020 წლის 21 იანვარს, ადვოკატ ფ. კ.-ს, მისი მოთხოვნის შესაბამისად, მ. ა. მ.-მ, რომელიც იყო შუამავალი ჰ. ს. დ.სა და ადვოკატ ფ. კ.-ს შორის, ჩაურიცხა 1800 აშშ დოლარი (5178.6 ლარი). ადვოკატის განმარტებით, აღნიშნული თანხა წარმოადგენდა სასამართლოსათვის განკუთვნილი სახელმწიფო ბაჟის საფასურს. ადვოკატს კლიენტისთვის არ განუმარტავს, რომ ფიზიკური პირის მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოში არ გადაიხდევინებოდა 3000 ლარზე მეტი. საპროცესო კოლეგიის 2023 წლის 30 იანვრის სხდომაზე საჩივრის ავტორის წარმომადგენლებმა დააზუსტეს, რომ გადახდილი თანხა მოიცავდა საადვოკატო მომსახურების საფასურსაც. საჩივრის ავტორის წარმომადგენლების განმარტებით, ადვოკატმა ფ. კ.-მ 2020 წლის 21 იანვარს, სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და იმავე დღეს გადაიხადა სახელმწიფო ბაჟი - 3000 ლარი. ადვოკატმა სახელმწიფო ბაჟის საფასური გადაიხადა არა კლიენტის, არამედ საკუთარი სახელით და დანიშნულებაში არ მიუთითა რას წარმოადგენდა აღნიშნული თანხა.

1.4 მომჩივანის წარმომადგენლების განმარტებით, 2020 წლის 4 თებერვლის განჩინებით, მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე, იმ მიზეზით, რომ მოთხოვნა და ფაქტობრივი გარემოებები იყო ბუნდოვანი და საჭიროებდა დაზუსტებას, რის შესახებაც ამავე წლის 6 თებერვალს ეცნობა ადვოკატ ფ. კ.-ს. ადვოკატმა, 10 თებერვალს სასამართლოს მიმართა განცხადებით, სადაც განმარტა, რომ განჩინების გასაჩივრებას არ აპირებდა და მოითხოვა ბაჟის ქვითრის დედნის დაბრუნება. 2020 წლის 17 თებერვალს ადვოკატმა ფ. კ.-მ ჩაიბარა საქმის მასალები და სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითარი. შესაბამისად, ადვოკატს ჰქონდა შესაძლებლობა დადგენილი ხარვეზის აღმოფხვრის შემდეგ თავიდან შეეტანა სარჩელი, ასევე შესაძლებლობა ჰქონდა დაებრუნებინა თანხა სახელმწიფო ხაზინიდან. ადვოკატმა მოგვიანებით, აღნიშნული თანხა სრულად დაუბრუნა კლიენტს. საჩივრის ავტორის წარმომადგენლების განმარტებით, 2021 წლის 5 აპრილს ადვოკატმა ფ. კ.-მ კიდევ ერთხელ მიმართა სასამართლოს იგივე საქმეზე, ანალოგიური სარჩელით, ისე, რომ არ გაუთვალისწინებია განჩინებაში დადგენილი ხარვეზი და არ აღმოუფხვრია ისინი, თუმცა ამ შემთხვევაში შუამდგომლობაში მიუთითა: „გთხოვთ, გადამივადოთ სახ. ბაჟის გადახდა ვინაიდან მხარე იმყოფება საზღვარგარეთ და ვერ ახერხებს თანხის მოწოდებას“, რაც არ შეესაბამებოდა სიმართლეს, რადგან ადვოკატს უკვე მიღებული ჰქონდა კლიენტისგან

სახელმწიფო ბაჟის თანხა. 2021 წლის 12 აპრილს, განჩინებით, მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე, იმ მიზეზით, რომ შუამდგომლობა იყო დაუსაბუთებული. საჩივრის ავტორის წარმომადგენლების განმარტებით, 2021 წლის 5 აპრილს ადოკატმა ფ. კ.-მ მიმართა აღსრულების ეროვნულ ბიუროს შპს ი.-ს მიმართ დავალიანების გადახდევინების შესახებ განცხადებით, რომელიც იყო ხარვეზიანი და ამასთან ერთად, ადვოკატს არ გადაუხდია „სააღსრულებო წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სააპლიკაციო საფასური, რის შემდეგაც გამარტივებული წარმოების სამსახურის მრჩეველმა აპლიკაციაზე დაადგინა ხარვეზი და დოკუმენტები დაუბრუნდა ადვოკატს. მომჩივანის წარმომადგენლების განმარტებით, ადვოკატი არასწორ ინფორმაციას აწვდიდა კლიენტს საქმისწარმოების მიმდინარეობაზე, კერძოდ არწმუნებდა მას, რომ სარჩელი წარმოებაში მიიღო სასამართლომ და ელოდებოდა სხდომის ჩანიშვნას; თუმცა როდესაც მის მიერ დასახელებული პროცესის თარიღი ახლოვდებოდა ამბობდა, რომ სხდომა გადაიდო. როდესაც კლიენტი დაეჭვდა ადვოკატის კეთილსინდისიერებაში, მოითხოვა სასამართლოს ელექტრონული საქმის წარმოების გვერდის მომხმარებელი და პაროლი, თუმცა უშედეგოდ. საჩივრის ავტორის წარმომადგენელმა 2023 წლის 13 ივნისის განხილვის კოლეგიის სხდომაზე განმარტა, რომ ადვოკატმა ფ. კ.-მ გაუშვა ხანდაზმულობის ვადა, რამაც მის კლიენტს მიაყენა ზიანი.

1.5 საჩივრის ავტორის წარმომადგენლების განმარტებით, მას შემდეგ, რაც კლიენტმა სიმართლე გაარკვია ადვოკატის ქმედებების თაობაზე, მისი დავალებით მ. ა. მ. დაუკავშირდა ადვოკატ ფ. კ.-ს და გამოთქვა საყვედური, რის შემდეგაც ადვოკატმა დააბრუნა კლიენტისაგან მიღებული 1800 აშშ დოლარი, სხვა საქმის წარმოებისათვის მიღებულ თანხასთან (4500 ლარი) ერთად, რის შემდეგაც დაბლოკა შუამავალი და თარჯიმანი - მ. ა. მ.. 2023 წლის 30 იანვრის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე საჩივრის ავტორის წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ მათ კლიენტს თანხასთან დაკავშირებით ადვოკატის მიმართ პრეტენზია არ აქვს.

1.6 საჩივრის ავტორის წარმომადგენლებმა საკუთარი პოზიციის დასადასტურებლად, საპროცესო კოლეგიის წინაშე იშუამდგომლეს მოწმე მ. ა. მ.-ის გამოკითხვის თაობაზე. 2023 წლის 6 თებერვლის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე საჩივრის ავტორის მოწმემ მ. ა. მ.-მ განმარტა, რომ ის იყო შუამავალი ჰ. ს. დ.სა და ადვოკატ ფ. კ.-ს შორის და ადვოკატ ფ. კ.-ს იცნობდა პირადი საქმეებიდან გამომდინარე. მხარეთა შეთანხმებით, ადვოკატს საადვოკატო მომსახურება უნდა გაეწია ჰ. ს. დ.-სთვის. მოწმის განმარტებით, ადვოკატმა ფ. კ.-მ მოითხოვა 1800 აშშ დოლარის მისთვის ჩარიცხვა სახელმწიფო ბაჟისთვის, რაც ჰ. ს. დ.-მ გადასცა მ. ა. მ.-ს, რომელმაც აღნიშნული თანხა ჩაურიცხა ადვოკატ ფ. კ.-ს. ადვოკატმა, მოგვიანებით, მ. ა. მ.-ის გადაუგზავნა ბაჟის - 3000 ლარის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი და სარჩელი.

1.7 მოწმემ ასევე განმარტა, რომ ადვოკატი ფ. კ. ურეკავდა მას, აწვდიდა ინფორმაციას, რომ პროცესი ჩაინიშნა და უთითებდა თარიღს. აღნიშნული თარიღის დადგომისას კი ეუბნებოდა, რომ პროცესი გადაიდო. მოწმის განმარტებით, ადვოკატმა ფ. კ.-მ მას ასევე შეატყობინა, რომ მიმართა აღსრულების ეროვნულ ბიუროსაც და გაუგზავნა შესაბამისი დოკუმენტაცია. მოწმემ ასევე განმარტა, რომ ჰ. ს. დ.ს მიერ მ. ა. მ.-ის მიმართ გაცემულ მინდობილობას ვადა გაუვიდა, რის გამოც იგი ვეღარ ამოწმებდა ინფორმაციას, ხოლო, მას შემდეგ რაც მან მიიღო ახალი მინდობილობა, მივიდა აღსრულების ეროვნულ ბიუროში და შეიტყო, რომ დახარვეზდა

დავალიანების გადახდევინების შესახებ განცხადება. რის შემდეგაც ის, საჩივრის ავტორის მითითების შესაბამისად, დაუკავშირდა ადვოკატ ფ. კ.-ს და საყვედური განუცხადა. საუბრის დასრულების შემდეგ ადვოკატმა გადაურიცხა 1800 აშშ დოლარი (და ასევე სხვა საქმის ბაჟი 4500 ლარიც), რის შემდეგაც ადვოკატმა ის „დაბლოკა“ და მოწმე ვეღარ ახერხებდა ადვოკატთან დაკავშირებას.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა ფ. კ.-მ მონაწილეობა მიიღო 2023 წლის 20 თებერვლის საპროცესო კოლეგიის სხდომასა და 2023 წლის 13 ივნისის განხილვის კოლეგიის სხდომაში, სადაც წარმოადგინა ზეპირი განმარტება საქმესთან დაკავშირებით. ადვოკატმა განმარტა, რომ ჰ. ს. დ.-ს საჩივარი არის უსაფუძვლო, დაუსაბუთებელი და საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

2.2 2023 წლის 13 ივნისის განხილვის კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა ფ. კ.-მ განმარტა, რომ ის სამართლებრივ კონსულტაციასა და დახმარებას უწევდა მ. ა. მ.-ს და სწორედ მისი დახმარებით დაუკავშირდა საჩივრის ავტორს. მხარეები შეთანხმდნენ, რომ ადვოკატ ფ. კ.-ს მომჩივანისათვის საადვოკატო მომსახურება უნდა გაეწია სამოქალაქო საქმეზე, რის შემდეგაც ჰ. ს. დ.მ ადვოკატ ფ. კ.-ს სანოტარო წესით გაუფორმა მინდობილობა. ადვოკატის განმარტებით, საჩივრის ავტორი არ ფლობს ქართულ ენას და ის პირადად არასოდეს შეხვედრია მას. იმის გამო, რომ საჩივრის ავტორი არ ფლობს ქართულ ენას, ადვოკატ-კლიენტის შეთანხმებით, საჩივრის ავტორისათვის ადვოკატს საქმისწარმოებაზე ინფორმაცია თარჯიმნის - მ. ა. მ.-ის დახმარებით უნდა მიეწოდებინა. საჩივრის ავტორმა მინდობილობა გაუფორმა მ. ა. მ.-საც, ვისთან ერთადაც ადვოკატი დადიოდა სასამართლოში და ვისაც კლიენტისთვის გადასაცემად აწვდიდა საპროცესო დოკუმენტებსა და საქმისწარმოებაზე ინფორმაციას. ადვოკატ ფ. კ.-ს განმარტებით, მან კლიენტისაგან მიიღო ინფორმაცია, რომ კლიენტს არ სურდა სასამართლო დავის წარმოება და მის მიზანს წარმოადგენდა მოწინააღმდეგე მხარესთან მორიგება. მხარეთა მორიგების მიზნით, ადვოკატი ხშირად უკავშირდებოდა მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენლებს, თუმცა ისინი თავს იკავებდნენ კონკრეტული მოქმედებების განხორციელებისგან. ადვოკატ-კლიენტის შეთანხმებით გათვალისწინებული მომსახურების ფარგლებიდან გამომდინარე - ადვოკატის მთავარ ფუნქციას წარმოადგენდა მოწინააღმდეგე მხარესთან მორიგება და ამ მიზნით პროცესუალურ მოწინააღმდეგეზე ზეგავლენის მოხდენა, რისთვისაც ადვოკატმა არაერთი საპროცესო მოქმედება განახორციელა: კლიენტის მითითების შესაბამისად, ორჯერ, ფორმალურად წარადგინა სარჩელი საქალაქო სასამართლოში; აპლიკაციით მიმართა სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიურო“-ს. ადვოკატ ფ. კ.-ს განმარტებით, სწორედ კლიენტის მითითების შესაბამისად აღარ გადაიხადა მეორედ სახელმწიფო ბაჟი, ვინაიდან კლიენტმა შეატყობინა, რომ არ სურდა ბაჟის გადახდა, რადგან მეორე მხარესთან მოლაპარაკება მიმდინარეობდა. ადვოკატის ქმედებები ემსახურებოდა პროცესუალურ მოწინააღმდეგეზე გავლენის მოხდენასა და მომჩივანისათვის სასარგებლო პირობებით მორიგებას. ადვოკატის განმარტებით, კლიენტის მიზანი არ ყოფილა სასამართლოში საქმისწარმოება, მას მხოლოდ მორიგება სურდა და სასამართლოსაც და სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიურო“-საც მხოლოდ მოწინააღმდეგე მხარის „შესაშინებლად“ მიმართეს. ადვოკატის განმარტებით, მან მ. ა. მ.-ის თანდასწრებით ჩაიბარა სასამართლოს განჩინება და სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიურო“-ს წერილი და მას

დაავალა აღნიშნული დოკუმენტების ჰ. ს. დ.-სათვის თარგმნა და მიწოდება. ადვოკატმა დეტალურად აუხსნა მ. ა. მ.-ს სამოქმედო სტრატეგია და მათ მიერ განხორციელებული საპროცესო მოქმედებების სამართლებრივი შედეგები, რის თაობაზეც თარჯიმანს ინფორმაცია უნდა მიეწოდებინა უშუალოდ საჩივრის ავტორისათვის.

2.3 განხილვის კოლეგიის 2023 წლის 13 ივნისის სხდომაზე ადვოკატმა ფ. კ.-მ განმარტა, რომ მის მიერ განხორციელებული მოქმედებებით საჩივრის ავტორს ზიანი არ მისდგომია, კერძოდ, საქმეზე ხანდაზმულობის ვადის დინება შეჩერდა სასამართლოში სარჩელის წარდგენით; ამავდროულად, ჰ. ს. დ.-მ თავად დაარღვია შპს ა. ჯ.-სთან დადებული შეთანხმების პირობები, რის გამოც მას არ ჰქონდა უფლება მიეღო პირგასამტეხლო მოწინააღმდეგე მხარისაგან.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

3.1 2023 წლის 28 თებერვალს საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ფ. კ.-ს მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე. საპროცესო კოლეგიამ შეისწავლა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების საქმის წარმოების განხილვის ეტაპზე დადგენის შემთხვევაში, ადვოკატ ფ. კ.-ს მიერ შეიძლება დარღვეულად ჩაითვალოს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 ნაწილი და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-6, ნაწილი.

II სამოტივაციო ნაწილი:

4. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

4.1 განხილვის კოლეგიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტები:

4.1.1 ჰ. ს. დ.მ შუამავალ მ. ა. მ.-ის (თარჯიმანი) დახმარებით მიმართა ადვოკატ ფ. კ.-ს და სანოტარო წესით 2020 წლის 17 იანვარს ადვოკატს გაუფორმა მინდობილობა. მხარეთა შორის არსებული ზეპირი შეთანხმებით, ადვოკატს უნდა ეწარმოებინა კლიენტის სამოქალაქო საქმე.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. მხარეთა ახსნა-განმარტებები;
2. ჰ. ს. დ.ს მიერ ადვოკატ ფ. კ.-სათვის 2020 წლის 17 იანვარს სანოტარო წესით გაფორმებული მინდობილობა.

4.1.2 ადვოკატმა ფ. კ.-მ ჰ. ს. დ.ს სამოქალაქო საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოში ორჯერ წარადგინა სარჩელი. ორივე შემთხვევაში, მოსარჩელეს, თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ უარი ეთქვა სარჩელების წარმოებაში მიღებაზე.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. მხარეთა ახსნა-განმარტებები;
2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 04 თებერვლის განჩინება საქმეზე N და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 12 აპრილის განჩინება საქმეზე N.

4.1.3 ადვოკატმა ფ. კ.-მ, როგორც ჰ. ს. დ.ს წარმომადგენელმა, მიმართა სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიურო“-ს გამარტივებული საქმისწარმოების სამსახურს. აპლიკაცია დაუბრუნდა აპლიკანტს, სააპლიკაციო უზრუნველყოფის ღონისძიებისა და აღსრულების წინასწარი საფასურის გადაუხდელობის გამო.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიურო“-დან 2021 წლის 4 მაისს მიღებული განცხადების მიღების ბარათი;
2. სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიურო“-ს 2022 წლის 7 თებერვლის შეტყობინება დავალიანების გადახდევინების განცხადების აპლიკანტისათვის დაბრუნების შესახებ.

4.1.4 ჰ. ს. დ.მ ადვოკატ ფ. კ.-ს თარჯიმნის - მ. ა. მ.-ის მეშვეობით გადაუხადა 1800 აშშ დოლარი და 4500 ლარი, რაც სრულად დაუბრუნა ადვოკატმა კლიენტს.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. მხარეთა ახსნა-განმარტებები;
2. სს „საქართველოს ბანკი“-ის 2022 წლის 27 ოქტომბრის საბანკო ანგარიშის ამონაწერი.

4.2 განხილვის კოლეგიის მიერ დადგენილია შემდეგი სადავო ფაქტები:

4.2.1 მოქმედებდა თუ არა ადვოკატი ფ. კ. კლიენტთან შეთანხმების შესაბამისად და აწვდიდა თუ არა მას სწორ ინფორმაციას საქმის მიმდინარეობაზე.

კლიენტისათვის არასწორი ინფორმაციის მიწოდებასთან დაკავშირებით, განხილვის კოლეგიამ არ გაიზიარა საპროცესო კოლეგიის პოზიცია და მიიჩნია, რომ მხარეთა მიერ დისციპლინური საქმისწარმოებისას ეთიკის კომისიაში წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდება ადვოკატ ფ. კ.-ს მიერ კლიენტისათვის, მათი შეთანხმების შეუსაბამო მოქმედება და საქმეზე არასწორი ინფორმაციის მიწოდება.

საჩივრის ავტორის წარმომადგენელი და ადვოკატი ადასტურებენ ფაქტს, რომ ჰ. ს. დ. არ საუბრობს ქართულ ენაზე. მხარეთა განმარტებით, საჩივრის ავტორს ადვოკატთან კომუნიკაცია ჰქონდა თარჯიმნის - მ. ა. მ.-ის მეშვეობით. აღნიშნულ გარემოებაზე მხარეები შეთანხმებულები იყვნენ. განხილვის კოლეგიაში საქმისწარმოებისას საჩივრის ავტორის წარმომადგენელმა მ. ქ.-მ და ადვოკატმა ფ. კ.-მ განსხვავებული პოზიციები წარმოადგინეს ადვოკატ-კლიენტის შეთანხმების ფარგლებზე. ადვოკატის განცხადებით, კლიენტთან შეთანხმებით, მის ფუნქციებს წარმოადგენდა მოწინააღმდეგე მხარეზე ზეგავლენის მოხდენა და მისი მორიგებაზე დათანხმება და სწორედ მოწინააღმდეგეზე ზეგავლენის მოსახდენად მიმართა

თბილისის საქალაქო სასამართლოსა და სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიურო“-ს გამარტივებული საქმისწარმოების სამსახურს. ადვოკატმა, 2023 წლის 13 ივნისის განხილვის კოლეგიის სხდომაზე განმარტა, რომ აღნიშნულ უწყებებში საქმისწარმოება არ ყოფილა კლიენტის მიზანი და სასამარლოსა და სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიურო“-სთვის მიმართვა მხოლოდ მოწინააღმდეგე მხარეზე ზეგავლენის მოხდენას უკავშირდებოდა. ადვოკატ-კლიენტს შორის შეთანხმებული მომსახურების ფარგლები განსხვავებულად

განმარტა საჩივრის ავტორის წარმომადგენელმა და განაცხადა, რომ ადვოკატ ფ. კ.-ს ვალდებულებას სასამართლოში და სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიურო“-ში საქმისწარმოება წარმოადგენდა. საჩივრის ავტორის წარმომადგენლის განმარტებით, სწორედ აღნიშნული ვალდებულებების შესრულებაზე აწვდიდა ადვოკატი ფ. კ. კლიენტს არასწორ ინფორმაციას.

განხილვის კოლეგია ყურადღებას ამახვილებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებაზე (2022 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილება, საქმე Nას-521-22): „გარემოება დამტკიცებულად შეიძლება ჩაითვალოს, თუ ერთი მხარე მიუთითებს მასზე და მეორე მხარე არ ეწინააღმდეგება ამ მითითებას.“ დასახელებულ შემთხვევაში ფაქტია, რომ ადვოკატი ფ. კ. ახორციელებს შედავებას და განსხვავებულად უთითებს სადავო ფაქტებს. განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ ფაქტობრივ გარემოებათა მტკიცების ვალდებულება აკისრიათ მხარეებს, რომლებიც თავის სამართლებრივ მოთხოვნას აფუძნებენ აღნიშნულ გარემოებებს და შესაბამისად, ისინი მიეთითება მათ მიერ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ადგენს მხარეთა მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთის განაწილების სტანდარტს, რომელიც ყველა შემთხვევაში ინდივიდუალურად უნდა განაწილდეს. თბილისის სააპელაციო სასამართლო 11.04.2013 წლის გადაწყვეტილებაში (საქმე №2ბ/102-13) განმარტავს, რომ სამოქალაქო სამართალში მოქმედებს პრინციპი „affirmanti, non negati, incumbit probatio“ – „მტკიცების ტვირთი ეკისრება მას, ვინც ამტკიცებს და არა მას, ვინც უარყოფს“. ამ დებულებიდან გამომდინარე, უნდა განისაზღვროს, ვინ რა უნდა ამტკიცოს. განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ დაუშვებელია ამ პრინციპის საპირისპიროდ, მტკიცების ტვირთის ადვოკატზე დაკისრება. მხარეთა შეთანხმებასა და ადვოკატის უფლებამოსილების ფარგლებზე მტკიცების ტვირთი ეკისრება საჩივრის ავტორს. სწორედ მომჩივანი მხარეა ვალდებული უტყუარი მტკიცებულებებით დაადასტუროს, რომ ადვოკატს საქმე სასამართლოში არსებითად უნდა ეწარმოებინა და ის კლიენტს სწორედ აღნიშნული ვალდებულების შესრულებაზე აწვდიდა არასწორ ინფორმაციას.

განხილვის კოლეგია ყურადრებას ამახვილებს საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-7 ნაწილზე, რომლის თანახმად: „დადგენილება ბრალდებულის სახით პირის პასუხისგებაში მიცემის შესახებ უნდა ემყარებოდეს დასაბუთებულ ვარაუდს, ხოლო გამამტყუნებელი განაჩენი – უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ.“ მოცემულ შემთხვევაში, განხილვის კოლეგია შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში იღებს იმ ფაქტს, რომ საჩივრის ავტორმა არასათანადოდ შეასრულა მასზე დაკისრებული პოზიტიური ვალდებულება, სათანადო მტკიცებულებებით არ გაამყარა საკუთარი პოზიცია, მიუხედავად იმისა, რომ მას, ეთიკის კომისიაში მტკიცებულებების წარმოდგენის შესაძლებლობა ჰქონდა ნებისმიერ დროს, განხილვის კოლეგიის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, რაც შესაბამისად აისახება კოლეგიის მიერ სამართლებრივი გადაწყვეტილების მიღებაზე.

განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ განსახილველ შემთხვევაში, მოპასუხემ სათანადო და დამაჯერებელ მტკიცებულებებზე მითითებით ვერ უზრუნველყო თავისი წილი მტკიცების ტვირთის რეალიზება. სახელდობრ, მან ვერ შეძლო განხილვის კოლეგიის დარწმუნება, რომ

ადვოკატ ფ. კ. და მისი კლიენტი - ჰ. ს. დ. შეთანხმდნენ, რომ ადვოკატს მომჩივანის საქმე სასამართლოში ან/და სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიურო“-ში არსებითად უნდა ეწარმოებინა და ამ ვალდებულების შეუსრულებლობის გამო კლიენტს საქმეზე არასწორ ინფორმაციას აწვდიდა.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. მხარეთა ახსნა-განმარტება;
2. სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიურო“-ს 2022 წლის 7 თებერვლის შეტყობინება დავალიანების გადახდევინების განცხადების აპლიკანტისათვის დაბრუნების შესახებ;
3. ადვოკატ ფ. კ.-ს მიერ სამოქალაქო საქმეზე 21.01.2020 წელს შედგენილი სარჩელი (საქმეზე N).

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია გაეცნო საქმის მასალებს, შეისწავლა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ფ. კ.-ს არ უნდა დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა.

6. სამართლებრივი შეფასება:

6.1 განსახილველ საქმეზე, დისციპლინური საქმის განმხილველი საპროცესო კოლეგიის მიერ დისციპლინური დევნა დაწყებულია ადვოკატის მიერ კლიენტისათვის საქმისწარმოებაზე ინფორმაციის მიწოდების ეთიკური სტანდარტის შესაძლო დარღვევაზე („ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 ნაწილი და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, შემდგომში „ეთიკის კოდექსი“ მე-8 მუხლის მე-6 ნაწილი).

ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია, და განუმარტოს ყველა შესაძლო ფინანსური ვალდებულება, რომელიც დაკავშირებულია მისი საქმის წარმოებასთან („ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მე-6 მუხლის მე-2 ნაწილი).

ადვოკატმა კლიენტს, მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობისა და საქმის წარმოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ (ეთიკის კოდექსი, მე-8 მუხლის მე-6 ნაწილი).

6.2 განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატის და კლიენტის ურთიერთობის დაწყების შემდეგ, ადვოკატი ვალდებულია კლიენტს ჯეროვნად მიაწოდოს სრული და ზუსტი ინფორმაცია საქმის მიმდინარეობასა და საპროცესო ხარჯებზე, ვინაიდან ადვოკატის კონსულტაციის საფუძველზე კლიენტი იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას საქმისწარმოების გაგრძელებასა და განსაზღვრული საპროცესო მოქმედებების განხორციელებაზე, რაც იმას ნიშნავს, რომ კლიენტი იწონებს ადვოკატის სამოქმედო სტრატეგიას ან უარს ამბობს ადვოკატის მიერ შეთავაზებულ გეგმაზე ან/და ადვოკატის მომსახურებაზე. თუმცა, ამასთან მნიშვნელოვანია, რომ საჩივრის ავტორს ეკისრება პოზიტიური ვალდებულება, სარწმუნო მტკიცებულებებით დაადასტუროს ადვოკატთან შეთანხმების ფარგლები, კერძოდ, რა

მოქმედებების განხორციელებაზე შეუთანხმდა ადვოკატს; როგორი იყო ადვოკატ-კლიენტს შორის შეთანხმებული სამოქმედო სტრატეგია და რა იყო ადვოკატის უფლებამოსილების ფარგლები.

6.3 განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა ავალდებულს ადვოკატს კლიენტს საადვოკატო მომსახურება გაუწიოს შეთანხმების ფარგლებში და სამართლებრივი მოქმედებები განახორციელოს კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ. ადვოკატს ეკისრება ვალდებულება კლიენტთან შეთანხმებისამებრ, შეთანხმებული მოცულობით განახორციელოს საპროცესო მოქმედებები.

6.4 განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატის კონსულტაციის საფუძველზე კლიენტი იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას საქმისწარმოების გაგრძელებასა და განსაზღვრული საპროცესო მოქმედებების განხორციელებაზე, რაც იმას ნიშნავს, რომ კლიენტი იწონებს ადვოკატის სამოქმედო სტრატეგიას ან უარს ამბობს ადვოკატის მიერ შეთავაზებულ გეგმაზე ან/და ადვოკატის მომსახურებაზე. ადვოკატის მიერ კლიენტისათვის განზრახ არასწორი ინფორმაციის მიწოდება ან/და არასრული ინფორმაციის მიწოდება კლიენტს ართმევს შესაძლებლობას მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილება საქმესთან დაკავშირებით. იმის გათვალისწინებით, რომ კლიენტი წარმოადგენს საქმის შედეგით პირდაპირ დაინტერესებულ პირს, ადვოკატი ვალდებულია კლიენტს მიაწოდოს სწორი ინფორმაცია მისი საქმის წარმოებაზე; მის მიერ განხორციელებულ საპროცესო მოქმედებებზე და არ შეუზღუდოს კლიენტს მასთან დაკავშირების შესაძლებლობა.

6.5 განხილვის კოლეგიის განმარტებით, ადვოკატ ფ. კ.-ს მიერ კლიენტის ინფორმირების საკითხი უკავშირდება მასსა და საჩივრის ავტორს შორის დადებული ზეპირი შეთანხმების ფარგლებს და აღნიშნული ზეპირი შეთანხმებით გათვალისწინებული მოქმედებების თაობაზე კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდებას. შესაბამისად, მხარეთა შორის სადავო ფაქტი - კლიენტისათვის არასწორი ინფორმაციის მიწოდება გამომდინარეობს მხარეთა შორის არსებული ზეპირი შეთანხმების ფარგლებიდან. განხილვის კოლეგიის მიერ დისციპლინური საქმის შესწავლისას, უტყუარი მტკიცებულებებით ერთმნიშვნელოვნად არ დგინდება, რომ კლიენტი და ადვოკატი შეთანხმდნენ საქალაქო სასამართლოში სამოქალაქო საქმის არსებითად წარმოებაზე. განხილვის კოლეგიის 2023 წლის 13 ივნისის სხდომაზე საჩივრის ავტორის წარმომადგენელმა და მოპასუხე ადვოკატმა დაადასტურეს ფაქტი, რომ ადვოკატი კლიენტს ინფორმაციას თარჯიმნის დახმარებით, ხშირად აწვდიდა. ამავდროულად, დისციპლინური საქმის მასალების შესწავლის შედეგად არ დადგინდა, რომ ადვოკატი ფ. კ. მოქმედებდა ადვოკატ-კლიენტის შეთანხმებით დადგენილი სტრატეგიის უგულვებელყოფით ან/და კლიენტთან არსებული მოლაპარაკების საწინააღმდეგოდ. განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 6.2 მუხლით ქმედების კვალიფიკაცია და ადვოკატისათვის დისციპლინური სახდელის დაკისრება შეუძლებელია ადვოკატ-კლიენტს შორის არსებული ზეპირი შეთანხმების ფარგლების გათვალისწინების გარეშე.

6.6 განხილვის კოლეგიის განმარტებით, საჩივრის ავტორი ვერ ასაბუთებს, რომ ადვოკატ ფ. კ.-ს მოვალეობას წარმოადგენდა არა მხარეთა მორიგება, არამედ საერთო სასამართლოებში სამოქალაქო დავის არსებითი წარმოება. ხოლო, იქიდან გამომდინარე, რომ არ დგინდება ადვოკატის ვალდებულება - კლიენტის საქმე ეწარმოებინა საერთო სასამართლოში, შესაბამისად, შეუძლებელია ადვოკატს ჰქონოდა ვალდებულება კლიენტისათვის მიეწოდებინა ინფორმაცია საქალაქო სასამართლოში საქმის მსვლელობაზე. შესაბამისად, საჩივრის ავტორის პრეტენზია ადვოკატის მიერ მისთვის არასწორი ინფორმაციის მიწოდებაზე უნდა შეფასდეს არა განცალკევებით, არამედ ადვოკატ-კლიენტის შეთანხმების ფარგლებისა და გასაწევი საადვოკატო მომსახურების მოცულობის გათვალისწინებით.

6.7 კომისიის შეფასებით, ადვოკატმა სამართლებრივად განახორციელა ქმედებები, რომლებიც კლიენტის ინტერესში შედიოდა - ორჯერ წარადგინა სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოში, მიმართა სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიურო“-ს გამარტივებული საქმისწარმოების სამსახურს; კლიენტთან შეთანხმებისამებრ, ადვოკატი ხშირად უკავშირდებოდა თარჯიმანს და არ უზღუდავდა ჰ. ს. დ.სა და მ. ა. მ.-ს მასთან დაკავშირების შესაძლებლობას. განხილვის კოლეგიის 2023 წლის 13 ივნისის სხდომაზე საჩივრის ავტორის წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ თარჯიმანი ხშირად უკავშირდებოდა ადვოკატს, ხოლო თავად საჩივრის ავტორი უშუალოდ, არც ერთხელ დაკავშირებია ადვოკატს. საჩივრის ავტორის წარმომადგენელს ეთიკის კომისიაში არ წარმოუდგენია იმ გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ ადვოკატის ვალდებულებას წარმოადგენდა არა მხარეთა მორიგება, არამედ სასამართლოში საქმისწარმოება და ადვოკატმა არ შეასრულა შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებები, რომელთა შესრულების თაობაზეც არაზუსტ ინფორმაციას აწვდიდა კლიენტს.

6.8 განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატ-კლიენტს შორის ურთიერთობა წარმოადგენს სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობას, ხოლო სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად და კეთილსინდისიერად, სხვისთვის ზიანის მიყენების გარეშე. განხილვის კოლეგია ყურადღებას ამახვილებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №ას-1338-1376-2014), რომ „ყველა მართლწესრიგი სამართლის სუბიექტთა ქცევის წესს კეთილსინდისიერების პრინციპზე აფუძნებს და ამ პრიციპს ნორმატიულ კონცეფციად განიხილავს. კეთილსინდისიერება გულისხმობს სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა მიერ ურთიერთობის სხვა მონაწილის ინტერესების პატივისცემას, საკუთარი როლისა და პასუხისმგებლობის გათავისებას, თუნდაც იმ შემთხვევაში, როდესაც მას კონკრეტული პირდაპირი ვალდებულება არ ეკისრება.“ განხილვის კოლეგიის შეფასებით, ადვოკატი ფ. კ. მოქმედებდა კეთილსინდისიერად, კლიენტისათვის ზიანის მიყენების გარეშე. აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, საჩივრის ავტორს ადვოკატის მიერ საკუთარი ვალდებულებების არაკეთილსინდისიერი შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებები ეთიკის კომისიაში არ წარმოუდგენია.

6.9 განხილვის კოლეგიის შეფასებით, მხართა ახსნა-განმარტებებისა და დისციპლინურ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების გამოკვლევის საფუძველზე არ დადგინდა ადვოკატ ფ. კ.-ს მიერ კლიენტთან შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების უგულვებელყოფით მოქმედება ან/და აღნიშნული შეთანხმებიდან გამომდინარე შესრულებულ საპროცესო მოქმედებებზე კლიენტისათვის არასწორი ინფორმაციის მიწოდება.

6.10 ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 3.2, 5.7, 19, 20, 40.2 მუხლებით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე N113/22 ადვოკატ ფ. კ.-ს /სიითი №/ მიმართ არ დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოთ მხარეებს.
3. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე უარის თქმის თაობაზე საბოლოოა და არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /მამუკა ნოზაძე/

კოლეგიის წევრი: /ანა კოტეტიშვილი/

კოლეგიის წევრი: /ბესარიონ ბოხაშვილი/